ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის **29 სექტემბრის** სხდომის

ოქმი # 7

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან - 20.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში
   მომხს: რ. ჯორბენაძე
2. „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გვანცა სალუქვაძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება
   მომხს: თ. მატარაძე
3. “საერთაშორისო ურთიერთობების” სადოქტორო პროგრამის მე-9 სემესტრის დოქტორანტ ირაკლი გუნიას სადისერტაციო თემის დაზუსტება
   მომხს: თ. მატარაძე
4. „სოციოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის V სემესტრის დოქტორანტ ანა მარგველაშვილის განცხადების განხილვა
   მომხს: თ. მატარაძე
5. „ურბანისტიკის“ სადოქტორო პროგრამის მე-7 სემესტრის დოქტორანტ თათია ქართლელიშვილის განცხადება, სადოქტორო პროგრამის შეცვლის შესახებ
   მომხს: თ. მატარაძე
6. დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ
   მომხს: თ. მატარაძე
7. დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ
   მომხს: თ. მატარაძე
8. 2022 – 2023 სასწავლო წელს ჩარიცხულ დოქტორანტთათვის სწავლის გადასახადის განსაზღვრის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
9. 2022 – 2023 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ
   მომხს. თ. დოლბაია
10. ასოცირებულ პროფესორ ლია წულაძის სამეცნიერო - შემოქმედებითი შვებულების შესახებ
    მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 1. ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში დამსწრეთ წარუდგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რევაზ ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, თ, დოლბაიამ, ნ. დურგლიშვილმა, მ. მაცაბერიძემ და სხვ.

დაადგინეს : შევიდეს ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: 2. „საზოგადოებრივი გეოგრაფიის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გვანცა სალუქვაძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის შემადგენლობა დასამტკიცებლად წარმოადგინა დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, თ. მატარაძემ.

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, გ.გოგსაძემ, ნ. პავლიაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს „საზოგადოებრივი გეოგრაფიის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გვანცა სალუქვაძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია.

დოქტორანტი გვანცა სალუქვაძე, სადისერტაციო ნაშრომი - „ტურიზმისა და სხვა ეკონომიკური დარგების ურთიერთკავშირის გეოგრაფიული და სექტორული ასპექტები: საქართველოს მთიანი რეგიონების მაგალითი", სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნინო პავლიაშვილი - ასოცირებული პროფესორი, ნორმან ბაქჰაუსი - ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები:

1. იოსებ ხელაშვილი - გეოგრაფიის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის პროფესორი;

პუბლიკაცია:

იოსებ ხელაშვილი (2017). <u>მიწის ღირებულება და ინვესტიციები სასტუმრო ინდუსტრიაში საქართველოში</u>. *ბიზნესი და კანონმდებლობა.* გვ. 29-36.

2. ნიკო კვარაცხელია - ისტორიის დოქტორი, წმინდა ანდრიას ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი;

პუბლიკაცია:

<u>Damenia, N., Kvaratskhelia, N. (2020). *Some aspects of green tourism management in Georgia.* ДВНЗ «Київський національний економічний університет імені Вадима Гетьмана»</u>

3. ტომას დაქსი (Thomas Dax) - სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ავსტრიის აგრარული ეკონომიკის სოფლისა და მთიანი რეგიონების კვლევის ფედერალური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (Deputy Director at Federal Institute of Agricultural Economics Rural and Mountain Research).

პუბლიკაცია:

Dax, T. (2022) Shaping New Rural and Mountain Narratives: Priorities for Challenges and Opportunities in Mountain Research. In: M. Larcher, M. and Schmid, E. (eds.) *Alpine Landgesellschaften zwischen Urbanisierung und Globalisierung.* Springer VS, Wiesbaden, 33-49. DOI:10.1007/978-3-658-36562-2_2

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. გიორგი გოგსაძე - გეოგრაფიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

პუბლიკაცია:

Gachechiladze, R., Gogsadze, G., Iashvili, I., & Chkhaidze, V. (2021). Voter Turnout in Parliamentary Elections of Georgia: Dynamics and Geography. *environment and society*, *3*(3).

2. თამარ დოლბაია - საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია:

Dolbaia, T., & Elizbarashvili, N. (2019). Geographical characteristics of Tbilisi, goals of landscapes Planning and functial zoning. *environment and society*, *1*(1).

3. გიორგი კვინიკაძე - გეოგრაფიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია:

Kvinikadze, G. (2017), Conceptualization of geo-economic threats in small countries with transition economies. *Economic and Regional Studies.* Volume 10, No. 3, pp. 42-52

4. ია იაშვილი - გეოგრაფიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია:

Iashvili, I. (2016). For the Sake of the Family": Contemporary Georgian Migration in the USA. *International Journal of Arts & Sciences*, 09(02):623–638

5. მერაბ ხოხობაია - ეკონომიკის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია:

Khokhobaia, M. (2015). Transdisciplinary research for sustainable tourism development. *Journal of International Management Studies.* Volume 18, Issue 2, pp. 21-26

6. გიორგი ბრეგაძე - ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის პროგრამის პროფესორი;

პუბლიკაცია:

Bregadze, G. (2021). Toward The Introduction of Tourism Satellite Account–Case Study Georgia. *Globalization and Business*, #11: 127-132

7. კობა არაბული - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი;

პუბლიკაცია:

არაბული, კ. (2008). *ტურიზმის საფუძვლები.* თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მოისმინეს: 3. „საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო პროგრამის მე-9 სემესტრის დოქტორანტ ირაკლი გუნიას (სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი: ფიქრია ასანიშვილი) განცხადება სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტების თხოვნით, დამსწრეთ გააცნო თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: ხ. მაისაშვილმა, თ. დოლბაიამ, ფ. ასანიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: „საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო პროგრამის მე-9 სემესტრის დოქტორანტ ირაკლი გუნიას სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,იდენტობის როლი რუსეთის პოლიტიკაში საქართველოს მიმართ'', დაზუსტდეს შემდეგი ფორმულირებით: ,,კულტურის როლი რუსეთის პოლიტიკაში საქართველოს მიმართ''.

მოისმინეს: 4. „სოციოლოგიის" სადოქტორო პროგრამის V სემესტრის დოქტორანტ ანა მარგველაშვილის განცხადება მისთვის ხელმძღვანელის დამატების შესახებ, დამსწრეთ გააცნო თეონა მატარაძემ.

აზრი გამოთქვეს: ი.კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტ ანა მარგველაშვილის მეორე ხელმძღვანელად დამტკიცდეს მათიას ფოგტი - ციტაუ/გორლიცის გამოყენებითმეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორი (გერმანია).

მოისმინეს: 5. „ურბანისტიკის" სადოქტორო პროგრამის მე-7 სემესტრის დოქტორანტ თათია ქართლელიშვილის განცხადება, სადოქტორო პროგრამის შეცვლის შესახებ, დამსწრეთ გააცნო თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. პავლიაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს დოქტორანტ თათია ქართლელიშვილის თხოვნა, „ურბანისტიკის“ სადოქტორო პროგრამიდან, ,,კონფლიქტების ანალიზისა და მართვის'' სადოქტორო პროგრამაზე გადასვლის შესახებ (სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე, დოქტორი რანო ტურაევა, ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ჰაბილიტირებული მკვლევარი (გერმანია).

მოისმინეს: 6. დოქტორანტთა სადისერტაციო თემები და სამეცნიერო ხელმძღვანელები დასამტკიცებლად წარმოადგინა თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, მ. შამილიშვილმა, მ. მაცაბერიძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტთა სადისერტაციო თემები და სამეცნიერო ხელმძღვანელები წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 7. დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების წესის დარღვევით დამტკიცების საკითხი, განსახილველად წარმოადგინა დეკანის მოადგილე თ. მატარაძემ. მან ამა წლის 26 სექტემბერს ახსნა-განმარტებით (#26/09/2022, N92473) მიმართა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს, თამარ დოლბაიას, ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებში წესის დარღვევით სადისერტაციო სათაურებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დასამტკიცებლად, ფაკულტეტის საბჭოსთან შუამდგომლობის თაობაზე.

დარღვევის მიზეზებს შორისაა: ფაკულტეტის საბჭოს მხრიდან თემის სათაურის დამტკიცებაზე უარის თქმა, სამეცნიერო ხელმძღვანელის ძიების ან მასთან/მათთან კომუნიკაციის გაჭიანურებული პროცესი და ელფოსტის საშუალებით სადისერტაციო სათაურებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ ინფორმირების არაეფექტიანობა (მიუხედავად იმისა, რომ უფროსი სპეციალისტის თეა ქუსიკაშვილის მიერ დოქტორანტები ინფორმირებულნი იყვნენ ელფოსტის მეშვეობით თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების აუცილებლობის თაობაზე, მის მიერ დამატებითი ღონისძიებები - ტელეფონით კომუნიკაცია, სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან დაკავშირება, არ განხორციელებულა).

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ, რ. ჯორბენაძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დამტკიცდეს დოქტორანტთა სადისერტაციო თემების სათაურები და სამეცნიერო ხელმძღვანელები წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: 8. 2022 – 2023 სასწავლო წელს ჩარიცხულ დოქტორანტთათვის სწავლის გადასახადის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ, ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, თ. მატარაძემ, ს. დუნდუამ და სხვ.

დაადგინეს: 2022 – 2023 სასწავლო წელს ჩარიცხულ დოქტორანტთათვის სწავლის გადასახადი განისაღვროს სემესტრში 500 ლარის ოდენობით.

მოისმინეს: 9. 2022 – 2023 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ. მან თქვა, რომ სტუდენტთა კონტინგენტის სიმწირის გამო, არ გაიხსნა 5 სამაგისტრო პროგრამა და კიდევ 3 პროგრამა არ გაიხსნებოდა, რომ არ დაგვერღვია მიღების წინაპირობა, როცა სამაგისტრო პროგრამა იხსნება 5 სტუდენტის შემთხვევაში. ერთი სასწავლო წლის ფარგლებში 8 სამაგისტრო პროგრამის დახურვა უმძიმეს შედეგებს გამოიღებდა და სწორედ ამიტომ გადაწყდა „სოციოლოგიის“, „სოციალური მუშაობის“ და „გენდერის“ პროგრამების გახსნა, 4-4 სტუდენტის პირობებში.

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, გ. გოგსაძემ, მ. მაცაბერიძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა

დაადგინეს: ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად, მიღების წინაპირობის დარღვევა ჩაითვალოს ერთჯერად, უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეულ აქტად და პროგრამის ხელმძღვანელებმა ძალისხმევა მიმართონ სტუდენტთა კონტინგენტის მოზიდვისკენ.

მოისმინეს: 10. ასოცირებულ პროფესორ ლია წულაძის სამეცნიერო - შემოქმედებითი შვებულების შესახებ, ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, თ. დოლბაიამ. მან დამსწრეთ შეახსენა, წინა სხდომაზე მიღებული დადგენილება. კერძოდ:

1. მიღებულ იქნას ცნობად ლ. წულაძის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო შემოქმედებითი ანგარიში და დაგზავნილ იქნას შესაფასებლად ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან;
2. ეთხოვოს თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს, მისცეს წერილობითი განმარტება ფაკულტეტის საბჭოს, სამეცნიერო ჟურნალ “Caucasus Survey” - ს იმპაქტ ფაქტორთან დაკავშირებით;
3. გაეგზავნოს შეკითხვა თსუ-ის იურიდიულ დეპარტამენტს, თუ რამდენად სამართლებრივია ლ. წულაძის მიერ შვებულების ფარგლებში შესასრულებელი სახელმძღვანელოების ელექტრონული გამოცემებისთვის საჭირო თანხების, მის მიერვე გადახდა;

4. ლ. წულაძისთვის სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების დროს შესრულებული სამუშაოს ჩათვლა - არჩათვლის საკითხი განხილულ იქნას უახლოეს სხდომაზე, თსუ-ის ადმინისტრაციიდან მიღებული პასუხებისა და კოლეგების შეფასების შესაბამისად.

ფაკულტეტის საბჭოს წევრებისგან, საანგარიშო პროდუქციაზე გამოხმაურება, შემოვიდა მხოლოდ პროფესორ ა. ბერძენიშვილისგან;

თ. დოლბაიამ, დამსწრეთ გააცნო თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტისა და თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის წერილობითი განმარტებები (ოქმს თან ერთვის) და დააყენა საკითხი ლ. წულაძისთვის სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების დროს შესრულებული სამუშაოს ჩათვლა - არჩათვლის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, ნ. დურგლიშვილმა, თ. მახარაძემ, მ. მაცაბერიძემ, მ. წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს:

1. ლ. წულაძის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებიდან ერთის ("სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები"დაფინანსება 1074,95 ლარის ოდენობით, უზრუნველყოფილ იქნეს ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან, ხოლო მეორე სახელმძღვანელოს ("კულტურის სოციოლოგია: როგორ გვანიჭებს საზრისს კულტურა") ხარჯები გაიღოს თავად;
2. ვინაიდან ლ. წულაძემ, ვალდებულებად აიღო სამეცნიერო სტატიის „საერთაშორისო იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნება“, ხოლო სამეცნიერო ჟურნალს - “Caucasus Survey” (https://brill.com/view/journals/casu/casu-overview.xml), რომელშიც მან გამოსაქვეყნებლად გააგზავნა სტატია (ინდექსირებულია Web of Science-ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში (https://mjl.clarivate.com/search-results)), არ აქვს იმპაქტ ფაქტორი (Impact Factor), სამუშაო ჩაეთვალოს ნაწილობრივ შესრულებულად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

2 სექტემბერი, 2022 წ

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. სალომე დუნდუა
12. ზვიად აბაშიძე

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

13. ნინო ჭალაგანიძე
14. ხათუნა მაისაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. გიორგი გოგსაძე
20. ვაჟა ლორთქიფანიძე
21. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური მიმართულება

22. რევაზ ჯორბენაძე
23. ნოდარ ბელქანია
24. ზურაბ აბაშიძე
25. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

26. ალექსანდრე გაბაშვილი
27. ცირა თოფურია
28. შოთა ქარქაშაძე
29. ზაქარია ნაჭყებია
30. ნინო პაქსაშვილი
31. თაკო წურწუმია
32. კახი კუჭუხიძე
~~33. რატი ხითარიძე~~

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს
თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის
რევაზ ჯორბენაძის

მიმართვა

ქალბატონო თამარ,

ფაკულტეტის საბჭოს სხდომისთვის განსახილველად წარმოგიდგენთ ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში რიგგარეშე ცვლილებებს, კერძოდ:

<u>საბაკალავრო პროგრამები:</u>

1. *საფაკულტეტო:*

ცვლილება: სასწავლო კურსში ლექტორის დამატების შესახებ.

ცვლილების აღწერა: - სასემინარო საათზე, საფაკულტეტო არჩევით სასწავლო კურსში „კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა“ დაემატა მოწვეული ლექტორი მირანდა მიქაძე.

საფუძველი: სასწავლო კურსის განვითარება.

2. *საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია“ (დადგენილება №32348, 2021, დანართი 40):*

ცვლილება: სასწავლო კურსზე ლექტორის დამატება.
ცვლილების აღწერა:

- სავალდებულო სასწავლო კურსს „საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“, დაემატა ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე - საათობრივი დატვირთვა 30/30, ია იაშვილი - 15/15.;
- სასწავლო კურსებში - „საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი“,„მსოფლიო რეგიონების და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია (ევროპა, დიდი ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილო ამერიკა)“, „მსოფლიო რეგიონების და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია (აზია, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია და ოკეანეთი)“ - დაემატა მოწვეული ლექტორი ლუიზა აბაზაძე.

საფუძველი: სასწავლო კურსების განვითარება.

3. *საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართული რუსულენოვანი კომპონენტებით)“(დადგენილება № 185, 2018; დანართი 35):*

ცვლილება: სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება.
ცვლილების აღწერა:

- სასწავლო კურსს „ჟურნალი - პრაქტიკული კურსი“ შეეცვალა სტატუსი და გახდა სავალდებულო ნაცვლად არჩევითისა, საათობრივი დატვირთვა 30/30; მოწვეული ლექტორი ირინა ბიჭიკაშვილი;
- სასწავლო კურსს „საგამოძიებო ჟურნალისტიკა“ შეეცვალა სტატუსი და გახდა სავალდებულო ნაცვლად არჩევითისა, საათობრივი დატვირთვა 30/15; მოწვეული ლექტორი ირინა ბიჭიკაშვილი;
- სასწვლო კურსს „მიდგომები და ტექნიკები მედიაანალიზისთვის“ შეეცვალა სტატუსი და გახდა სავალდებულო ნაცვლად არჩევითისა, საათობრივი დატვირთვა: 15/15; ლექტორი - ხათუნა მაისაშვილი, ასოცირებული პროფესორი;
- სასწავლო კურსს „სტრატეგიული პოლიტიკური კომუნიკაცია და პიარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში“ შეეცვალა სტატუსი და გახდა არჩევითი ნაცვლად სავალდებულოსი, საათობრივი დატვირთვა 30/15; მოწვეული ლექტორი ირინა ბიჭიკაშვილი;
- სასწავლო კურსს „რეკლამა და ხატოვანება“ შეეცვალა სტატუსი და გახდა არჩევითი ნაცვლად სავალდებულოსი, საათობრივი დატვირთვა 30/15; მოწვეული ლექტორი ირინა ბიჭიკაშვილი.

ცვლილება: სასწავლო კურსებზე ლექტორთა დამატება.
ცვლილების აღწერა:

- სავალდებულო სასწავლო კურსს „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ დაემატა ლექტორი, ასოცირებული პროფესორი ხათუნა კაჭარავა - საათობრივი დატვირთვა 30/15;
- სასწავლო კურსში „სტრატეგიული პოლიტიკური კომუნიკაცია და პიარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში“ დაემატა მოწვეული ლექტორი, სემინარისა და პრაქტიკუმის წარმმართველი მათე მასხულია;
- სასწავლო კურსში „ეთიკა და პროფესიული პასუხისმგებლობის სტანდარტები“ დაემატა მოწვეული ლექტორი, სემინარის და პრაქტიკუმის წარმმართველი მათე მასხულია;
- სასწავლო კურსში „სოციოლოგიის შესავალი“ დაემატა მოწვეული ლექტორი გიორგი (გია) სიამაშვილი.

ცვლილება: სასწავლო კურსების გაერთიანება.
ცვლილების აღწერა: სასაწვლო კურსები „მეტყველების ტექნიკა 1“ და „მეტყველების ტექნიკა 2“ გაერთიანდა და დაერქვა „მეტყველების ტექნიკა“ - მოწვეული ლექტორი იური ფოფხაძე, საათობრივი დატვირთვა 30/30.

ცვლილება: სასწავლო კურსის სემესტრის ცვლილება.
ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“, პირველ სემესტრელთა კონტინგენტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სტუდენტებს წაეკითხებათ გაზაფხულის სემესტრში.

საფუძველი: საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის განახლებულ შედეგებთან (იგივე - კურიკულუმის რუკასთან) შესაბამისობის[1] უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

4. *საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „სოციოლოგია“ (დადგენილება №90370, 2022, დანართი 37):*

ცვლილება: ლექტორის დამატება.
ცვლილების აღწერა: „რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი 1”-ზე დაემატა ასოცირებული პროფესორი ანა დიაკონიძე.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

5. *საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „პოლიტიკის მეცნიერება“ (დადგენილება №32530, 2021, დანართი 36):*

ცვლილება: ლექტორის დამატება სასემინარო და სალექციო მუშაობაში.
ცვლილების აღწერა:

- „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“ - სასემინარო საათზე დაემატნენ მოწვეული ლექტორები მარიამ გელხაური და ხატია იმერლიშვილი;
- „ საბაკალავრო კვლევის დიზაინი“ - დაემატა ირაკლი ჩხაიძე (თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი);
- „დარგობრივი ინგლისური ენა“ - დაემატა მოწვეული ლექტორი გივი სილაგაძე;
- „ პოლიტიკური იდეოლოგიები“ - სასემინარო საათზე, დაემატა მოწვეული ლექტორი ნიკა გიგაური.

საფუძველი: საგანმანათლებო პროგრამის განვითარება.

შენიშვნა: *საფაკულტეტო არჩევითდა „საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავლის“ სასწავლო კურსებზე ლექტორთა დამატების გამო, ფაკულტეტის ყველა საბაკალავრო პროგრამაში განხორციელდება შესაბამისი ცვლილება.*

<u>სამაგისტრო პროგრამები:</u>

1. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია“(დადგენილება № 45163, 2021, დანართი 41):*

ცვლილება: ახალი სასწავლო კურსის დამატება.

---

[1] საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა სწავლების სფეროს კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გადადის 0321-ში.

ცვლილების აღწერა: პროგრამას დაემატა ახალი არჩევითი სასწავლო კურსი„საგარეო პოლიტიკის წარმოების ინსტიტუციური ანალიზი“, მოწვეული ლექტორი დავით აბესაძე - შემოდგომის სემესტრი (15/30).

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების გამრავალფეროვნება.

2. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“ (დადგენილება № 45163, 2021, დანართი 41):*

ცვლილება: სასწავლო კურსის კრედიტის ცვლილება.
ცვლილების აღწერა:

- სავალდებულო სასწავლო კურსის „მეთოდოლოგიური მიდგომები მედიაფსიქოლოგიაში და კვლევის დიზაინი“, მისანიჭებელი კრედიტი გახდა 5 ნაცვლად 6-ისა;
- სავალდებულო სასწავლო კურსის „საინფორმაციო ომები და უსაფრთხოება“ მისანიჭებელი კრედიტი გახდა 5 ნაცვლად 4-ისა.

ცვლილება: სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება.
ცვლილების აღწერა:

- სასწავლო კურსი „სოციალური მედიის გამოყენების ეფექტები“ (5 კრედიტი, 15/15-ზე) გახდა არჩევითი სავალდებულოს ნაცვლად;
- სასწავლო კურსი „სოლიდარული ჟურნალისტიკა გლობალურ ეპოქაში“(5 კრედიტი, 15/15-ზე) გახდა სავალდებულო, ნაცვლად არჩევითისა

საფუძველი: მონიტორინგის შედეგად საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და ანგარიშის მომზადება განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრისთვის. სტატუსის ცვლილება ხორციელდება ერასმუს + სტუდენტებისთვის.

3. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „პოლიტიკის მეცნიერება“ (დადგენილება №32535, 2021, დანართი 63):*

ცვლილება: სასწავლო კურსზე ლექტორის დამატება.
ცვლილების აღწერა:
- სასწავლო კურსის „პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა“ - დაემატა მოწვეული ლექტორი თამარ ორჯონიკიძე.

საფუძველი: საგანმანათლებო პროგრამის განვითარება.

4. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“ (დადგენილება №261, 2012, დანართი 64):*

ცვლილება: სასწავლო კურსზე ლექტორის დამატება.

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის „სახელმწიფო მართვის მიკრო და მაკროეკონომიკური პრინციპები“ - დაემატა ლექტორი ირმა ტყემალაძე (თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრის ასისტენტი).

საფუძველი: საგანმანათლებო პროგრამის განვითარება

5. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: "მედიის კვლევები" (დადგენილება №22316, 2021, დანართი 45).*

ცვლილება: სასწავლო კურსის კრედიტების ცვლილება
ცვლილების აღწერა:

- სავალდებულო სასწავლო კურსი „მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები“ (ლექტორი ხათუნა მაისაშვილი, 30/15) მისანიჭებელი კრედიტი გახდა 5, ნაცვლად 6 კრედიტისა;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „მონაცემთა ანალიზი და მედიარეპროდუცირება“ (ლექტორი ნათია კუპრაშვილი, 15/30), მისანიჭებელი კრედიტი გახდა 5, ნაცვლად 4 კრედიტისა;
- არჩევით სასწავლო კურსი „გლობალური მედია და კომუნიკაციები“ (ლექტორი ეკატერინე ბასილაია, 15/15) მისანიჭებელი კრედიტი გახდა 5, ნაცვლად 4 კრედიტისა.

საფუძველი: საგანმანათლებლო კურსების განვითარება.

6. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: "სოციალური მუშაობა" (დადგენილება № 805733, 2022, დანართი 59).*

ცვლილება: სასწავლო კურსზე ლექტორის დამატება
ცვლილების აღწერა: სავალდებულო კურსს „სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა 1“, დაემატა მოწვეული ლექტორი ნინო ნუცუბიძე.

საფუძველი: საგანმანათლებლო კურსის განვითარება.

7. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა" (დადგენილება №45162, 2021, დანართი 65)*

ცვლილება: სასწავლო კურსზე ლექტორის დამატება
ცვლილების აღწერა:

- სასწავლო კურსს - „ეკონომიკური დიპლომატია“, დაემატა მოწვეული ლექტორი თეა კუნჭულია;
- სასწავლო კურსს „ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა“, დაემატა მოწვეული ლექტორი გიორგი ჩაფიძე.

საფუძველი: საგანმანათლებლო კურსების განვითარება.

8. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: "გენდერის კვლევა" (დადგენილება N32541, 2021, დანართი 43).*

ცვლილება: სასწავლო კურსზე ლექტორის დამატება

ცვლილების აღწერა: სავალდებულო სასწავლო კურსს „სასწავლო პრაქტიკა/სტაჟირება“, დაემატა მოწვეული ლექტორი ნინუცა ნადირაშვილი (ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში აშშ-დან ჩამოსული ლექტორი).

საფუძველი: საგანმანათლებლო კურსის განვითარება.

ცვლილება: სემესტრის ცვლილება

ცვლილების აღწერა: - სასწავლო კურსი „გენდერი, ოჯახი და რელიგია პოსტსოციალისტურ სივრცეში“ - ლექტორი მედეა ბადაშვილი, გადავიდა გაზაფხულის სემესტრში ნაცვლად შემოდგომისა.

საფუძველი: ლექტორის საზღვარგარეთ გამგზავრება

9. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „კონფლიქტოლოგია“ (დადგენილება № 1149154, 2022, დანართი 256):*

ცვლილება: საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის სახელწოდების და სტატუსის ცვლილება.

ცვლილების აღწერა: საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამას, „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“, აკრედიტაციის შემდეგ შეეცვალა სახელი „კონფლიქტოლოგიით“ და ავტორიზებულის ნაცვლად მიენიჭა სტატუსი აკრედიტებული.

საფუძველი: პროგრამის ხელახალი აკრედიტაცია. აკრედიტაციის საბჭოს სხდომის (09.09.2022 წ.) გადაწყვეტილება.

პატივისცემით,
რევაზ ჯორბენაძე

დანართი მე - 6 საკითხისთვის

პოლიტიკის მეცნიერება:

1. მესამე სემესტრის დოქტორანტ მარიამ გელხაურის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „ახალგაზრდული თემატიკა საქართველოს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებში (2008-2020 წლებში)"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე.
2. მესამე სემესტრის დოქტორანტ ხატია იმერლიშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „საარჩევნო სარეკლამო კამპანიის პერსონიფიცირება საქართველოში - 2012 – 2020 წლები"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე.
3. მესამე სემესტრის დოქტორანტ ლიკა კვინჩიას სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „ურბანული მოძრაობების შიდაჯგუფური იდენტობის განმაპირობებელი ფაქტორები საქართველოში", სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია.

საერთაშორისო ურთიერთობები:

1. მესამე სემესტრის დოქტორანტ მირანდა ანდრონიკაშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,საგარეო პოლიტიკური რიტორიკის როლი პატარა სახელმწიფოების ნატოში გაწევრიანების პროცესში სეკურიტიზაციის კონცეფციის ჭრილში:ნატოს 1999, 2004 და 2009 წლების გაფართოების ტალღების ანალიზი'', სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ეკა აკობია.
2. მესამე სემესტრის დოქტორანტ ჯემალ გრძელიშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „ჩინეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში'', სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი დავით მაცაბერიძე.
3. მესამე სემესტრის დოქტორანტ პაპუნა დავითაიას სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „ფართო შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევები ერთიანი სტრატეგიის არარსებობის პირობებში'', სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი.
4. მესამე სემესტრის დოქტორანტ გიორგი კეკელიანის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ეკონომიკური დამოკიდებულების კონტექსტში და მისი გავლენა მშვიდობაზე'', სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი თორნიკე თურმანიძე.
5. მესამე სემესტრის დოქტორანტ გიორგი კელაპტრიშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „რუსეთის საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი: სამხრეთ კავკასიის შემთხვევა''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ სამხარაძე.

6. მესამე სემესტრის დოქტორანტ ლელა ფოცხვერაშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,ეროვნული იდენტობის გავლენა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ზურაბ დავითაშვილი.

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

1. მესამე სემესტრის დოქტორანტ ირაკლი კაკაბაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,ტრანსფორმაციული შემოქმედების როლი ძალადობრივი კონფლიქტის მოგვარებისას''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე.
2. მესამე სემესტრის დოქტორანტ რომან კაკულიას სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „2012-2020 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის მუშაობაში პოლიტიკური კონფლიქტების იდეოლოგიური საფუძვლები"; სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე, პროფესორი გუგული მაღრაძე.

საზოგადოებრივი გეოგრაფია:

1. მესამე სემესტრის დოქტორანტ თინათინ ასანიშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „საქართველო, როგორც ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილი არაბული ქვეყნებისთვის (გაერთიანებული არაბული საამიროების მაგალითზე)"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი.
2. მესამე სემესტრის დოქტორანტ ლანდა ფუტკარაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „მთიანი აჭარის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები და მათი გამოყენების პოტენციალი"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი.

მასობრივი კომუნიკაცია:

1. მესამე სემესტრის დოქტორანტ ლიანა მარქარიანის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „მანიპულაციური მექანიზმების მეტამორფოზა საბჭოთა მედიიდან თანამედროვეობამდე: ტიპოლოგია, გავლენები და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი საქართველოს და სომხეთის მაგალითზე"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე.
2. მესამე სემესტრის დოქტორანტ ნიკოლოზ ტაბატაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „სპორტის სატელევიზიო მედიატიზაციის გავლენა სპორტული მეგაღონისძიებების მასპინძელი ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ურბანულ განვითარებაზე"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.
3. მესამე სემესტრის დოქტორანტ გიორგი ჯოხაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,მედია, როგორც წარმოების საშუალება: ნეოლიბერალური სუბიექტურობა ქართულ მედიაში ორი ხელისუფლების პერიოდში (2003 – 2012; 2012 – 2020 წ.წ.)"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მანანა შამილიშვილი.

სოციოლოგია

1. მესამე სემესტრის დოქტორანტ ნიკა ნაკაიძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,თანამედროვეობის დესტრუქციული მეგატენდენციები და ადამიანის სოციალიზაციის თავისებურებები ვირტუალურ სამყაროში''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი.
2. მეოთხე სემესტრის დოქტორანტ ეკატერინე ქრისტესაშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,ბენეფიციართა მიმართ ანგარიშგების დანერგვის მნიშვნელობა საქართველოში გენდერული ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი.

ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება

1. მესამე სემესტრის დოქტორანტ ბექა სხირტლაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,დიფერენციაციის ფაზის კრიზისი და მისი დაძლევის გზები საქართველოს ორგანიზაციებში''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია.

კულტურის და მედიის სოციოლოგია

1. მეორე სემესტრის დოქტორანტ ლელა ჯავახიშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის სატელევიზიო გაშუქების მედიალოგიკა''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე.

დანართი მე-7 საკითხისთვის

დოქტორანტთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დამტკიცდეს ქვემოთჩამოთვლილ დოქტორანთა სადოქტორო დისერტაციების სათაურები და სამეცნიერო ხელმძღვანელები:

1. „პოლიტიკის მეცნიერებს“ სადოქტორო პროგრამის მეექვსე სემესტრის დოქტორანტ გიორგი სახელაშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხი საქართველოს მაგალითზე''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გია ჟორჟოლიანი.
2. „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო პროგრამის მეექვსე სემესტრის დოქტორანტ ნიკოლოზ ხატიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „რუსეთის ბირთვული პოლიტიკა როგორც საგარეო პოლიტიკის ბერკეტი“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ზურაბ დავითაშვილი.

3. „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის“ სადოქტორო პროგრამის მეხუთე სემესტრის დოქტორანტ ბექა დადეშქელიანის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,კონფორმიზმის როლი ინტერპერსონალურ ჯგუფშიდა და ჯგუფთაშორის კონფლიქტებში''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე.
4. „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის“ სადოქტორო პროგრამის მეხუთე სემესტრის დოქტორანტ თამარ კვანტალიანის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,კულტურა, როგორც იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალება ცივი ომის დროს''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე.
5. „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის“ სადოქტორო პროგრამის მეხუთე სემესტრის დოქტორანტ ელენე ოგბაიძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „გაყინული კონფლიქტები კავკასიის რეგიონში: გაყინული კონფლიქტის ტრანსფორმაციის მეთოდები''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ზურაბ აბაშიძე.
6. „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის“ სადოქტორო პროგრამის მეშვიდე სემესტრის დოქტორანტ თინათინ ცერცვაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,მე"-ს ხატის ცვლილება დებატების სწავლების გზით''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე.
7. „დემოგრაფიის“ სადოქტორო პროგრამის მეხუთე სემესტრის დოქტორანტ მარიამ მამაგულაშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,ოსების დემოლოგიური განვითარება საქართველოში''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე.
8. „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო პროგრამის მეხუთე სემესტრის დოქტორანტ მარიამ გოგოსაშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „მედია ბიზნესი გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე)''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი.
9. „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო პროგრამის მეშვიდე სემესტრის დოქტორანტ თათია ლომთაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „ადვოკატირება მედიის საშუალებით საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების მაგალითზე“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი.
10. „სოციოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის მეცხრე სემესტრის დოქტორანტ ნარგიზა არჯევანიძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „ომისა და გაჭიანურებული დევნილობის გამოცდილება აფხაზეთიდან დევნილ ქალთა ცხოვრების ისტორიებში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი.
11. „სოციოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის მეექვსე სემესტრის დოქტორანტ ანა ლორთქიფანიძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,პოსტსაბჭოთა (1991 წლიდან პერიოდში) საქართველოში საპროტესტო მოძრაობის მამოძრავებელი ძალების სოციოპოლიტიკური ასპექტები''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი.
12. „კულტურის და მედიის სოციოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის მეექვსე სემესტრის დოქტორანტ ალექსანდრე ცაგარელის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „სოციალური მილიო: ქართული საზოგადოების სტრატიფიკაციის ახალი მცდელობა“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი.

N 17039/10 18/07/2022

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს
ქალბატონ თამარ დოლბაიას

ქალბატონო თამარ,

თქვენი კორესპონდენციის (N 16977/30, 15/07/2022) პასუხად გაცნობებთ, რომ ჟურნალი „Caucasus Survey" ინდექსირებულია ბიბლიომეტრიულ ბაზაში Web of Science (WOS), კერძოდ WOS-ის ერთ-ერთ განყოფილებაში - Emerging Sources Citation Index (ESCI).

ESCI-ში შემავალი ჟურნალები მაღალრეიტინგულია და რეცენზირებადი, იძებნებიან რესურსში „Journal Citation Reports", თუმცა აღნიშნულ ჟურნალებს იმპაქტ-ფაქტორი არ აქვთ.

შესაბამისად, ვეთანხმებით თქვენი ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის განმარტებას, რომ ჟურნალი ინდექსირებულია Web of Science-ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში, მაგრამ იმპაქტ ფაქტორი (Impact Factor) არ აქვს.

პატივისცემით,

გიორგი ღვედაშვილი

დეპარტამენტის უფროსი
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი

N 18107/10 26/07/2022

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცინიერებათა ფაკულტეტის დეკანს
თამარ დოლბაიას

ამავე უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებლის
ვასილ ბარამიძის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო თამარ,

2022 წლის 15 ივლისის N16997/30 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 11 სექტემბრის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" N135/ნ ბრძანების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის მიხედვით, აკადემიურ პერსონალს, კომპეტენციის შესაბამისად, უფლება აქვს პროფესიული განვითარების მიზნით, 5 წელიწადში ერთხელ, აკადემიური თანამდებობის დაკავებიდან 1 აკადემიური წლის შემდეგ, აიღოს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება არა უმეტეს 10 თვის ვადით. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის მიხედვით, აკადემიური პერსონალი ვალდებულია სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დასრულების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ; ასევე, საქართველოს კანონის ,,უმაღლესი განათლების შესახებ" 37-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, აკადემიური პერსონალი ვადებულია სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დასრულების შემდეგ წარადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

რაც შეეხება თქვენს მიერ დასმულ კითხვას ლია წულაძის მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების ფარგლებში შესასრულებელი სახელმძღვანელოების ელექტრონული გამოცემებისთვის საჭირო თანხების დაფარვასთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ არც თქვენს მიერ წარმოდგენილ კორესპონდენციაში (საქმის მასალებში) და არც უნივერსიტეტში არსებულ სამართლებრივ მარეგულირებელ აქტებში არ იკვეთება უნივერსიტეტის ვალდებულება აანაზღაუროს სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების ფარგლებში შესასრულებელი სამეცნიერო პროდუქტის შესაქმნელი თანხები. ლია წულაძის მოვალეობას წარმოადგენდა მის მიერ 2021 წლის 9 ივლისის №12685 განცხადებით აღებული ვალდებულება წარმოედგინა სამეცნიერო პროდუქტი,

რაც ბუნებრივია გულისხმობს ვალდებულების სრულყოფილად შესრულებას და შესაბამისად სამეცნიერო პროდუქტის სრულყოფილი სახით წარმოდგენას.

ამასთან, თქვენი წერილით ირკვევა, რომ ლია წულაძის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებისას გაწეული მუშაობის ანგარიში ფაკულტეტის საბჭოს წარედგინა დაგვიანებით. ერთი მხრივ, ვადების დაუცველობა წარმოადგენს აკადემიური პერსონალის მიერ უნივერსიტეტის/ფაკულტეტის წინაშე აღებული ვადებულებების დარღვევას, რომელმაც შეიძლება განაპირობოს დაფინანსებაზე უარის თქმა. თუმცა, მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მიუხედავად დაგვიანებით წარმოდგენილი მასალისა, მისი მნიშვნელოვანი ღირებულებიდან გამომდინარე შეიძლება განისაზღვროს სახელმძღვანელოს ელექტრონული გამოცემისათვის სათანადო თანხები. ამასთან, ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს როგორც ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს, ასევე ფაკულტეტისათვის პრიორიტეტულ საკითხებს, ამდენად, შესაძლებლად მიგვაჩნია ფაკულტეტის საბჭომ იმსჯელოს სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების ფარგლებში შესასრულებელი სახელმძღვანელოების ელექტრონული გამოცემებისათვის საჭირო თანხების დაფინანსების თაობაზე.

პატივისცემით,

ვასილ ბარამიძე

დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
იურიდიული დეპარტამენტი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს
თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის დეკანის მოადგილის
თეონა მატარაძის

ახსნა-განმარტება

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ ამა წლის მარტიდან სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი თეა ქუსიკაშვილი გავიდა დეკრეტულ შვებულებაში, ხოლო მის მოვალეობას ასრულებს ხელშკრულების საფუძველზე დაქირავებული ირმა ჩხეიძე. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დოქტორანტთა დოკუმენტების დეტალური შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის დარღვევის არაერთი შემთხვევა: „დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო თემის სათაურს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში.“

მიუხედავად იმისა, რომ უფროსი სპეციალისტის თეა ქუსიკაშვილის მიერ დოქტორანტები ინფორმირებულნი იყვნენ ელფოსტის მეშვეობით თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების თაობაზე (იხილეთ, თანდართული თეა ქუსიკაშვილის ახსნა-განმარტება), მის მიერ დამატებითი ღონისძიებები - ტელეფონით კომუნიკაცია, სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელთან და პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირება, არ განხორციელებულა.

მოგმართავთ თხოვნით, რომ გვიშუამდგომლოთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რათა ვადაგადაცილებით მოხდეს დოქტორანტებისათვის თემებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცება, ხოლო თეა ქუსიკაშვილს კი გამოეცხადოს საყვედური პირად საქმეში შეტანით.

პატივისცემით,

თეონა მატარაძე